ნუგზარ ბაბუციძე

ოოცა ციხილე
მუშიერობა

თბილისი
2017

რედაქტორი:
ნინო ჟუთათელაძე

გამომცემლობა
შპს „ინტერპრინტჯორჯია“

სიცყვის პოვნისთვის გაჩენილი

ქართველები მოვდივართ, ვართ და ვიქნებით, რადგან ღმერთმა შეგვქმნა მსგავსად და ხატად თვისა, ამდენად სანამ შემოქმედი იქნება, ჩვენც ვიქნებით.

ამიტომაა, რომ სამყაროს ღერძიც, ყველა ტკივილიცა და სიხარულიც ქართველების გულზე გადის, ქართველების სისხლით ირწყვება, ქართველების ხორცით საზრდოობს და ქართული სულის ნატეხია.

ამიტომაა ქართველი – ადამიანი – ადამის მოდგმის. ამიტომაა ქართველისთვის მიწა,რომლიდანაც ადამი (ადამიანი) მოიზილა – დედამიწა.

ამიტომაა არაადამიანებისთვის ქართული მიწების დაუფლება მთელი დედამიწის დაუფლების ტოლფასი.

თანაც იციან, სადაც ქართველია – სამოთხეც მასთანაა და ამიტომ მოდიოდნენ, მოდიან და მომავალშიც მოვლენ ამ სამოთხის მისატაცებლად, მაგრამ მათ არ იციან და ვერც გაიგებენ,რომ ამის წართმევა და მითვისება შეუძლებელია. რადგან არ იციან, რომ კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ზღაპარი ქართველებმა მათთვის მოიგონეს. სინამდვილეში კი ყოველი ქართველი თავის თავის დასამარცხებლად იბრძვის და თავის თავის დამარცხებით არის უკვდავი.

მათ არ იციან, რაც იცის ქართველმა, რომ არ არსებობს არც დრო, არც სივრცე, არც სიჩქარე, არც აჩქარება, არც ფარდობითობა, არც წესრიგი (როგორც ლოგოსი),არც ალბათობა,არც ანალოგია.

არსებობს მხოლოდ ერთი და ის ერთი არის სიტყვა და ქართველი სწორედ იმიტომ გაჩნდა, რომ ეპოვა ის სიტყვა, რომელიც იყო პირველად და რომელიც იყო ღმერთთან და იყო ღმერთი. და მან ის იპოვა და მან იცის, რომ ამ სიტყვას ჰქვია „სიყვარული“ და ისაა არსის ანიც და ჰოეც და მხოლოდ ის არსებობს და სხვაგან არაფერს დაეძებს, რადგან იცის „სადაც არის ბედი მისი,იქ მიიყვანს ფეხი

მისი“, სწორედ ამიტომ ყველას თავისი წილი ცისკარი აქვს შესახსნელი.

მთავარია, არც აგერიოს და არც იჩქარო, რადგან როცა მას იპოვი, მაინც ყველაფერი ქრება, ქრება დროცა და სივრცეც და მხოლოდ ის რჩება.

ავტორი

პოეზია

* * *

როცა ვიხილე მშვენიერება ცის
ძუ ალისა,
ჩემს თავს ვუთხარი
— „ძეო, ცისაო,
ნუ გაანცდები,
ბერი კაცი ხარ
და აჰყვე გრძნობებს,
აღარ შეგშვენის;
თუმც კარგად იცი,
განცდებს ვერსად დაემალები.
კი...
მონდომებით დამალავ თითქოს
გულის სიღრმეში,

მერე კი კაბა
ლურჯი,
ზღვისფერი,
და ის თვალებიც
სულის შეძვრამდე მოგენატრება...
და ყველა ტკივილს
დღისით
თუ ღამით
გაუძლო უნდა;
ბერი კაცი ხარ და აჰყვე გრძნობებს
აღარ შეგშვენის,
თუმც კარგად იცი, რომ მათ
ვერსად დაემალები".

* * *

მე მოვკვდი გუშინ!
შენ ჯერ მომკალი და შემდეგ ნაზი,
ხმით უცოდველით,
ხომ კარგად ხარო, მომიკითხე...
– ცუდად, თუმც ვუძლებ
– ეს მე ვიყავი,
რომ გიპასუხე,
მაგრამ რას ვუძლებ,
ან, ღმერთო,
ამას როგორ გავუძლო,
როცა ტკივილმა სულიც, სხეულიც
სულ ერთიანად, სრულად მოიცვა,
დღე გამიმწარა;
შენზე ოცნების
მცირე იმედის

ნაპერწკალსაც კი ამ დაჭრილ გულში
აღარ მიტოვებს...
მე მოვკვდი გუშინ!
შენ ჯერ მომკალი
და შემდეგ ნაზი
ხმით უცოდველით,
ხომ კარგად ხარო,
– მომიკითხე...

* * *

დავბერდი კაცი, მაგრამ ვერ ვიტყვი,
რომ ან დავბრძენდი და საერთოდაც,
ადრე რომ მწამდა, ვიცოდი რაღაც
უკვე ამაშიც ეჭვი მღრღნის ახლა.
– სიყვარულია! – ვამბობდი გუშინ,
ჯერ კიდევ გუშინ ასე მჯეროდა –
როცა ის ქალი თავს გირჩევნია
და მასთან ყოფნით როცა ვერ ძღები,
სიკვდილს რომ ნატრობ,
როცა ვერ ხედავ,
მის ღიმილში რომ სიცოცხლეს
გაცვლი,
მისი ხატება თან რომ გდევს მუდამ
დღისით თუ ღამით
და ლოცვის დროსაც ერთი
სული გაქვს,

რომ მისი სული მზეზე ნათელი,
იაზე ნაზი,
უსათუთესი შეიგრძნო სრულად –
სიყვარულია მისი სახელი! –
ჯერ კიდევ გუშინ ასე მჯეროდა,
დღეს აღარ ვიცი, ამას რა ჰქვია –
სიყვარულია თუ სიგიჟეა;
და ან საერთოდ, სიყვარულსა და
სიგიჟეს შორის თუ გადის ზღვარი?
ჭეშმარიტება ვის უპოვია და
ან უმსხვერპლოდ
ვის უვლია ამ ქვეყანაზე?!.

* * *

შენზე ფიქრებში და ოცნებებში,
ძუ ალო ცისა,
ასე მგონია ასჯერ ათასიც
გაირბენს წელი,
როგორც დღე ერთი –
დღე გუშინდელი. –
ამის გამო და ამ მიგნებით
ვარ ბედნიერი,
იმავდროულად ვარ უბედურიც...
რა მიხარია?
მარადისობის დრო უსასრულო
შენზე ფიქრებში ასეთი მწველიც
იქნება ტკბილი და მიხარია...
და რა მაწუხებს? –
მაწუხებს განცდა, რომ
უსასრულო დროც სასრულია

და არა კმარი
და არ მეყოფა მე ბოლომდე
    შენს შესაცნობად
და ვერც ამ გულში
                    დანთებულ ხანძარს
ვერ გამინელებს!..
და მაინც, კარგო, მინდა იცოდე,
თვით უკვდავების ყველა სიკეთეს
შენზე ოცნების წამშიც არ გავცვლი.

* * *

ჩემი მეორე ხმა ჩამძახის დიდი ხანია,
რომ მე გავგიჟდი, რომ სილამაზემ
შენი თვალების და
                    შენმა თმებმა
                    სულ გამაგიჟა,
შენმა სურნელმა წამართვა გონი
და დამატყვევა.
მე რას ვპასუხობ?
მასთან ლაპარაკს არა აქვს აზრი,
მან აურია ყველა ცნება,
ყველა პრინციპი...
მას მტკიცედ სჯერა,
რომ სიყვარული არის სიგიჟე;
თავისუფლება? – ტყვეობა
მისი ერთადერთი შესამოსელი...
შენ კი რა გითხრა?

ისედაც იცი დაბადებიდან,
მე ნებით ჩემით და არა ძალით,
რომ ტყვე ვარ შენი
და ვცოცხლობ შენით.

* * *

საყვარელი ხარ და ერთადერთი,
რადგან მიყვარხარ,
თორემ სხვაგვარად ეგ სილამაზე,
გინდა – თვალები,
ან თვალთა სხივი
და თმები შენი გასაოცარი,
ვერც შემემჩნია, ვერც დამენახა...
ან უჩვეულო შენი დუმილი,
თუნდ სიტყვები, თუნდ პასუხები,
თუნდ სიმამაცე და გულწრფელობა,
შენი გულის და გონების სიღრმე
ვერ გამეგო, ვერ ამომეხსნა...
საყვარელი ხარ და ერთადერთი,
რადგან მიყვარხარ.

* * *

ჩემო სიცოცხლევ,
შენს ლამაზ ქალაქს
და ამაყ მეფეს თუნდაც ერთხელ,
სულ ერთადერთხელ
სტუმრად მაწვიე,
შენი უბნები, შენი ქუჩები
თუნდ ნაბიჯ-ნაბიჯ
და ნაწილ-ნაწილ,
მაგრამ მთლიანად
და კუთხე-კუნჭულ
მომახილინე,
მომალოცინე!..
თუკი მლოცველად ვერ ვივარგო მე,
კარი ცისკრისა სულ დამიკეტე,
მაგრამ თუ მეფეს და
ქალაქს შენსას

თავს მოვაწონებ და
ლოცვაც ჩემი
ეამა დიდად,
მაშინ ამას გთხოვ,
შენზე მლოცველს ნუ გამიმეტებ
და შენს ტკბილ ქალაქს და
სულგრძელ მეფეს
ნუ მომაშორებ!..

* * *

სამყაროს ჩვენსას
                    შენ შემატე,
კარგო, სიამე,
სიცოცხლეს ჩემსას
                    შენ მიეცი
ელვარე ფერი,

და თუ მიღიმის ყოველ დილით
ვარსკვლავი ცისკრის,
მან ისიც იცის, რომ
ველარ მაკრთობს
                ველარც ქარი,
                ველარც ავდარი.

როცა მას ვუმზერ, ვიღას ახსოვს
ან დრო ან ჟამი

როცა ყურს ვუგდებ,
არ მაღელვებს
                    არც ზღვის ღელვა,
                    არც ღამის ჩქამი,
რადგან უმისოდ ჩემი ცხოვრება
წააგავს უკუნს
და ეკარგება სიცოცხლეს აზრი.

* * *

ღმერთო,
                  რამდენჯერ შემიცოდავს,
მერე კვლავ და კვლავ
ამ ცოდვების მონანიებით
მიტევებას შეგვედრებივარ...
და მერე ისევ, მერე
                  კვლავ და კვლავ...
დღესაც ვედრებით შემოგყურებ,
მაგრამ დღეს იქნებ
                  სხვაგვარად ჟღერდეს,
უფალო,
                  თხოვნა-ვედრება ჩემი,
რადგან შენ იცი,
არც შეცოდება,
არც სინანული
და არცა თხოვნა

მხოლოდ და მხოლოდ
ჩემი არსის
არ არის ნება,
ალბათ ბევრი რამ,
თუ ყველა არა,
იქ ზემოთ წყდება
და მე ამ რწმენით,
მხოლოდ ამ რწმენით,
ვბედავ, უფალო,
                  შემოგავედრო
ეს სიყვარული უკანასკნელი.

* * *

თვალებიც, გულიც
სულ შენ დაგეძებს,
ამ ქვეყნად,
სულ შენ დაგეძებს, ჩემო,
რადგან შენა ხარ
ამ ჩემი სულის
ანიც და ჰოეც,
მეც სულის შენის
– მიუწვდომლის –
ნაწილი გავხდე,
აღმატებული საფიქრალი
რატომ არა მაქვს?
რა გიპასუხო, ან რა გითხრა,
მხოლოდ და მხოლოდ
თუ შენზე ვარ
შეყვარებული?!.

* * *

არის რაღაცა,
რაც მაცოცხლებს,
როცა ვერ გხედავ,
არის რაღაცა,
დღეში ასჯერ
რომ ვეფერები.

და გულთან ახლოს
ის რაღაცა ფოტოა შენი –
ზღვა,
ბათუმი,
სველი თმები
და ლურჯი კაბა...

და ამ ჩემს გულში
ის რაღაცა

ხატია შენი –
ზღვა,
ბათუმი
და ლურჯი კაბა...

* * *

ასე ახლოს ხარ, ასე ახლოს
და მაინც ვწუხვარ,
ვწუხვარ,
რამდენი მაქვს სათქმელი
და ვერ კი ვამბობ...

ვსევდიანდები, თავს ვუწყრები
რა მემართება?! –

სათქმელი ხომ მაქვს,
თან ისიც ვიცი
რა და როგორ, რისთვის და
რატომ...
და მემატება დარდი,
ნაღველი
და ეჭვიც მახრჩობს,

არ მოვკვდე ისე,
                  რომ ვერც კი გითხრა,
თუ რა იმედად მრჩება
                  ნათქვამი ბევრის:
„არაა სიტყვა, რომ გამოხატო
სულის ძახილი,
          საკუთარი სიბრძნე
                  და განცდა“!..
რომ გულთმისანმა და გონიერმა
                  ისედაც იცის,
ოქროდ ქცეული დუმილის ზარის
წკრიალის არსი.

* * *

როგორ ვდარდობდი
და როგორ ვწუხდი,
რომ ვერ გიხსნიდი,
ვერ ვბედავდი შენთან განდობას...
ახლა კი ვნანობ,
რომ ვერ შევძელი,
ისე მეთქვა შენთვის ყოველი,
რომ საზიზღრად და მიტოვებულად
არ მეგრძნო თავი.

* * *

ვინც გინდა იყავ,
რამდენიც გინდა ქონება გქონდეს
ოჯახის დარდი
საიდან,
                    როგორ,
                                  რამდენი,
                                                  როდის,
თუ არ გაწუხებს,
დარჩენილხარ კაცი – ბავშვივით...
და გელოდება შენი სამოთხე,
მაგრამ არ ვიცი,
პირდაპირ თუ
                    ასათიანის ქუჩაზე გავლით
არა აქვს აზრი,
ამაოებაა ცხოვრება მაინც...

* * *

ცხოვრება კაცის – ეს თამაშია
სპექტაკლის რთულის –
კომიკურის, ტრაგიკულის
                                  და ასე შემდეგ...
სიუჟეტების ურიცხვი ჯაჭვით
სიკვდილი მისი
გარდასახვაა გარკვეულ დროით
და სათამაშოდ ახალი როლის
ახალ სივრცეში და ახალ დროში.
სიკვდილ-სიცოცხლე ეს თამაშია
ერთი სპექტაკლის –
კომიკურის თუ ტრაგიკულის,
სიუჟეტების ურიცხვი ჯაჭვით
                    და ასე შემდეგ...
                                  და ასე შემდეგ...

* * *

ახლა თექვსმეტი აპრილია,
                  გაზაფხულია,
და შენთან მოვალ,
რომ მოგილოცო
და გიძღვნა გული, სიყვარულით
და შენზე ფიქრით,
კვლავ სავსე ისე, ვით წლების უწინ
                  მოვდივარ შენთან,
თუმცა არასდროს დაგშორებივარ,
მაგრამ აპრილებს
მაინც ძველი აქვთ მღელვარება,
მეც გადამედო მათი ღელვა,
სწორედ ამიტომ ამ გაზაფხულსაც
მსურს შენს თვალებში
კვლავ დავინახო თავი ჩემი
                  და სიყვარული.

* * *

რას ვიფიქრებდი,
თუკი ოდესმე
ამ სამყაროში
შენთვის ყველაზე საყვარელი
და სასურველ ქალის
ხილვა იებით
                  – უსათუთესით –
გულს ასე რიგად
თუ დაგიფლეთდა,
რადგან პატივი
მათი მიძღვნისა
შენ სხვამ მოგპარა
და მის თვალებში
შენ აღტაცების
ულამაზეს სხივს
ამ გაზაფხულზე

აღარ მოელი
ვეღარ იხილავ...
სწორედ მიტომ
ეს გაზაფხული
არდაწყებული
    იქვე,
        იმავ წამს,
შენთვის დამთავრდა.

* * *

სვლა შეანელა თითქოს,
რომ იმ წამს აღმომაჩინა
კვალში ჩამდგარი და გაკვირვებით
                — სად მიდიხართო?
გულისმომკვლელი მომიგდო კითხვა.
                — თავს მოვერიე,
დავმალე
        ცრემლი,
                ტკივილიც
— ყელში გაჩრილი ბურთად,
„საქმეზე მეთქი“,
        როგორც შევძელი
                მივუგე მშვიდად...
მერე ორივემ კვლავ გზა განვაგრძეთ
აღწერილ სქემით,
გამოუცნობი ბედისწერისკენ.

* * *

ინსტინქტებია ალბათ მამრის
და ჩვეულებრივ,
ამო ცხოვრების მდინარება,
როცა ბალახსაც
საზოგადოდ აქვს სუნი ქალის;
გაგიჟება და
სიყვარული კი დგება მაშინ,
როცა ხელივით
ამ დიდ სამყაროს ათას ლამაზ
ფერსა თუ ხატში
იმ ერთადერთის სურნელებას
დაეძებ კაცი
მიწაზეც, ცაშიც შენთვის მხოლოდ
ისაა ხატი
შენი ყოფნისა და საოცარი
სამყაროს არსიც.

* * *

ვიცი,
სიამაყე დაგძლევს,
ვიცი,
არ გადმოდგამ ნაბიჯს,
იცი,
არ დაგატან ძალას,
იცი,
უშენობით ვკვდები,
ვიცი,
რომ ვინანებთ მერე,
ვიცით,
სიკვდილის წინ,
ვიცი...

* * *

მოსვლა არავის უკითხავს ჩვენთვის,
ვიცით, არც წასვლას დაასწრებს
კითხვა,
თუმც შვილები ვართ
ცისა და მიწის –
ზოგში ცა სჭარბობს,
მეტში კი – თიხა.
ვიაროთ ბევრი,
ვიაროთ ცოტა,
ჩამოჰკრავს ზარი განგაშის როცა,
მივხვდებით,
ქვეყნად ცხოვრება ღირდა,
მოძებნად ცისკენ სავალი გზისა.

* * *

მეგობარს ყველას –
ძველსა თუ ახალს,
დიდსა თუ მცირეს,
მდიდარს თუ ღარიბს,
ცნობილს თუ უცნობს,
ქართველს თუ აფხაზს,
ოსსა თუ აზერს,
რუსსა თუ სომეხს,
ებრაელს, ბერძენს,
ევრაზიელს თუ ამერიკელს,
ცოცხალს თუ გასულს
მარად სოფელში,
ვუძღვნი მადლობას
მე მეგობრობის
ყველა წამისთვის,
ყველა მადლისა
და სიკეთისთვის

და ვუხდი ბოდიშს,
        თუკი ოდესმე,
                    თუნდ უნებლიეთ
ჩვენს მეგობრობის ნათელ ფერებს
დავაკელ რამე,
თუნდ მცირე შტრიხიც.

* * *

ვუძღვნი ნინო ქუთათელაძეს

მეგობრობის და სიყვარულის
                    შემხსენებელო,
შენ,
კონფორმიზმის ლაშქრისათვის
                    ლახვრის დამცემო,
ქართლის ცხოვრების მსახურო და
გმირთა ვარამის თანაზიარო,
თან ამხსნელო
და ქართულ სულში ჩამხედებელო,
მეგობრებისთვის
                    თვითონ ასმათო,
გონიერებით საფოს დარო,
ღირსებით სავსევ,
ღირსი სიტყვის
და ღირსი საქმის

მთქმელო და მქმნელო,
მზის და სამშობლოს ხელის გულზე
დამდებ-დამტევო,
გულში ჩამწვნელო,
ღირსეულად მატარებელო
ქართულ მანდილის...
მომიტევე,
მეც სიტყვა მცირე,
და არაღირსი.

* * *

სისულელეა, გჯეროდეს თითქოს
ბრიყვსა და სულელს,
ბრძენსა და ჭკვიანს,
კაცს კეთილშობილს
და კაცს გაუზრდელს
სულ ერთნაირად ესმოდეთ,
ანდა სტკიოდეთ გული
სამშობლოს ბედით
და უბედობით
და ან მამულის ულამაზეს,
ღვთისგან ბოძებულ
ხასხასა ფერებს
ჭვრეტდნენ ჭეშმარიტს;
და კიდევ უფრო
მეტისმეტი სისულელეა,

თუ დაიჯერებ, რომ შეეძლებათ,
თუნდაც ოდესმე
— მათ ერთნაირად
და მართებულად
გაიაზრონ,
რომ ეს მამული
ყველაფერია,
რომ ის სუნთქვაა,
ბედისწერაა,
შენი მიწაა,
შენი მხარეა მიტაცებული,
გადამწვარი და აფეთქებული
შენი სახლია,
შენი სისხლია,
შენი ხორცია მრავალტანჯული
და მაინც
კიდევ მრავალფერია
და თან ამავ დროს,
ერთადერთია

უსაყვარლესი სატრფოს მსგავსი,
ვისთვის სიცოცხლეც,
თუკი დასჭირდა,
დაუფიქრებლად გასაცემია.

* * *

ამო ცხოვრებას აზრს სძენს
მხოლოდ შენი მშვენება,
უკუნ სიბნელეს მინათებენ
შენი თვალები;
და თუკი მომთხოვ, უარი ვთქვა
ამ სიამეზე,
მაშინ საფლავიც გამითხარე
დილა-სისხამზე;
თუ გამიმართლა, თიხად უმალ
იქნებ ვივარგო,
ოსტატის ხელმა სასარგებლო
რამედ მაქციოს
და ბედმა ჩემმა
– დილით მკვდარი
– იმავ საღამოს

შენი ცხოვრების მუდმივ მგზავრად
გადამაქციოს.
ამო ცხოვრებას აზრს სძენს მხოლოდ
შენი მშვენება,
უკუნ სიბნელეს მინათებენ
შენი თვალები.

* * *

ვერ დავიჯერებ, რომ ეგ თვალები
გორულ მწვანეზე უფრო შუშხუნა,
ზურმუხტისფერი და მომნუსხველი.
თუ ვერ გაექეც –
წამში რომ გათრობს,
გაგიხსნის ცისკარს
და ნეტარების
ღრუბლებში გართობს,
მალავდეს რამეს...
და ერთიანად,
მხოლოდ შენი
ნათელი სულის,
გულის და გონის,
არ იყოს სარკე,
უსპეტაკესო!..

* * *

ჩემო ცისკარო,
ჩემო ძუ ალო,
ჩემო სიცოცხლევ,
მე შენთვის რაღაც განსაკუთრებულს
და საუცხოოს
ვეძებ საჩუქარს,
მაგრამ ამაოდ,
ვხვდები,
ვირჯები,
რადგან ყოველი,
რაც რამ მებადა –
გულიც,
გონებაც
და თვალის ჩინიც
კარგა ხნის წინათ
შენ მოგიძღვენი,

შენ მოგიძღვენი
დროცა და სივრცეც,
სამყაროც მთელი,
ცაც,
ვარსკვლავებიც,
მზეცა და მთვარეც
შენ მოგიძღვენი
და ამიტომ ახლა რა შემიძლია?..
მე – გულწასულმა,
გონდაკარგულმა
და თვალდამდგარმა
რა მოვიფიქრო?
რა დამრჩენია?
– ვითომ სიცოცხლე?
თუკი ჩემს ყოფას სიცოცხლე ჰქვია
– მაშინ იცოდე, შენია ისიც,
ინებე მხოლოდ და იმავე წამს
თუნდ სულ ზვარაკად შეგეწირები.

* * *

გული მეტკინა;
შენი სიტყვები
ამ უიკენდზე
განაჩენივით ჩამესმის ყურში
მიკვნესის სული...
სწორედ ამიტომ
მცხეთობისა და სვეტიცხოვლობის
ზეიმის ნაცვლად,
ვარ მარტოსული
და ვარ მწუხარი,
სიყვარულისთვის კი ვარ მე ხელი...
მაინც არ მესმის,
რატომ ვისჯები და მით უმეტეს,
სხვისი გულისთვის,
თუმცა რას ვიზამ,
ნებაყოფლობით

თუ ტყვე ვარ შენი,
არც შეშფოთების,
არც საყვედურის,
და აღშფოთების
ხომ სულ საერთოდ არა მაქვს ნება
                  და არც სურვილი...
მრჩება ნუგეშად მე მოგონება
                  – ძველი დღეების,
ხოლო იმედად,
გონება შენი
და გული შენი,
ეს სიყვარული,
          ეს ლექსები და
                  და ოცნებები.

* * *

შენსკენ მოვდივარ,
                  ჩემო ცისკარო,
დიდი ხანია,
დიდი ხანია,
არ ვეძებ სხვა ხსნას,
ვიცი რადგანაც,
გზა გადარჩენის მხოლოდ შენშია...
და რა ხანია,
შენ ხარ ოცნებაც,
                  დროც,
                  გზაც,
                  მიზანიც –
შენა ხარ ყველა.
აღარც კი მახსოვს,
რა დრო გავიდა –
წელიწადი თუ საუკუნე...

მოვდივარ შენსკენ
ქვეყნად მოსვლიდან,
თუ მთლად იქიდან...
ანდა როცა დაგიწყე ძებნა,
შენ თუ იყავი?..
თუ მხოლოდ ჩემი ხარ წარმოსახვა,
ზღაპრად ნანახი,
გამონაგონი;
არც ის არ ვიცი,
სადა ვარ ახლა,
ან შენთვის ვინ ვარ?..
მაინც გპირდები,
მე მოვალ შენთან! –
არ დავნებდები,
და ან ვიხილავ ნათელს,
ცისკარო
ან ცისკრისაგან დავიღუპები!..

* * *

უხერხულობას თუ იწვევს შენში
ნათქვამი ჩემი –
– მიყვარხარ ძლიერ,
ხარ მშვენიერი
და უტკბილესი –
რა გაეწყობა,
გავიგო უნდა
და შევიცვალო
დაუყოვნებლად,
რადგანაც შენზე
უარს ვერ ვიტყვი.
სწორედ ამიტომ
და ამ წუთიდან
მე ტყვედ გბარდები!
და ხარ მოვალე –
კანონით ომში გამარჯვებულის –

მე, გონწართმეულს,
არა მკრა ხელი,
არ მომიცილო,
თანაც ხომ იცი,
კი არ მიყვარხარ,
შენზე ვგიჟდები.

* * *

სულის სხეულთან ერთიანობას
თუ ნიშნავს კაცი
ამ უსამართლო წუთისოფელში,
მაშინ შევთანხმდეთ,
თვით არსებობა მისი ამ ფორმით
დასაბამიდან
რომ დასაღუპად განწირულია.
თუ წინ აღუდგა უსამართლობას
– კაცს ღუპავს მაშინ
ქვეყნის მთავარი.
თუ შეეგუა?
– მაშინ სულს ღუპავს
საკუთარ ხელით...
თვითონაც ხედავთ,
ამ საწუთროში

– ალტერნატივა
კაცის არსისთვის
სულაც რომ არ ჩანს,
სულაც არაა.

* * *

შენ თუ იქნები,
ამ სიყვარულზეც
დაწერენ ლექსებს,
შენ თუ იქნები,
იქნება მითიც
ბევრი ლეგენდაც,
ჭორიც, მართალიც,
შენ თუ ოქნები...
მაგრამ რას ვამბობ?!
უკეთილესო,
შენ ხარ ნათელი,
სულის ფერია
და უკვდავებაც შენი ხვედრია.
შენ სულ იქნები,

და შენთან ერთად
მეც დავიწყება
            არ მიწერია...

სიცოცხლეთქმანი

•

*

ყველა იქცევა ისე,
როგორც იქცევა, რადგან
სხვანაირად მოქცევა ან არ
იცის, ან არ შეუძლია.

*

სასარგებლოა საკუთარ
სულში ხშირად ჩახედვა,
მაგრამ ძალიან ღრმად ნუ
ჩაიხედავთ, თორემ შეიძლე-
ბა შეგეშინდეთ... შეშინებუ-
ლი კაცი კი საცოდავია
არა მხოლოდ კერძო
შემთხვევაში, არამედ
ზოგადად, რადგან ის
ცხოვრებაში ვერაფერს
ღირებულს ვერ შეჰქმნის.

*

ჭეშმარიტი ბედნიერება
ნებისმიერ ბრძოლაში
მხოლოდ ღირსეული
გამარჯვებით შეიძლება
მოიპოვო.

*

ნებისმიერი გამარჯვება
ნამდვილ სიხარულს
მხოლოდ მაშინ მოგიტანს,
თუ მის მოსაპოვებლად
ღირსება არ დაგიკარგავს.

*

არ ვამბობ ტყუილს, არ
ნიშნავს, რომ ვამბობ
სიმართლეს.

*

ვამბობ სიმართლეს,
არ ნიშნავს, რომ
მართალი ვარ.

*

ცოლის აღზრდა წყლის
ნაყვას ჰგავს.

*

მათხოვრების მომრავლება
დღეს აღარავის უკვირს,
საკვირველი და
გასაოცარი ამ ამბავში
უფრო ისაა, რომ
უმეტეს შემთხვევებში
მათხოვრები მათზე უფრო
დიდ მათხოვრებს
ემათხოვრებიან.

*

ღირსებით სიარული ამ
ცოდვილ მიწაზე, უამრავი
ტკივილისა და, შესაძლოა,
დამცირების ატანას
ნიშნავს.

*

თუ ამ სოფლიდან მარა-
დიულ სოფელში ისე
გადახვედი, რომ შენს
პატარა ღმერთთან –
სინდისთან – კონფლიქ-
ტი არასოდეს გქონია, ან
სინდისს არასოდეს
შეუწუხებიხარ, მაშინ შენ
საერთოდ არც ყოფილხარ
და არც ხარ.

*

თუ წუთისოფლიდან ისე
გახვედი, რომ ცხოვრე-
ბაში, შენი რწმენისათვის
მიუღებელ, უსამართლო,
არაობიექტურ თუ
არასწორ გადაწყვეტილებე-
ბზე ერთხელაც არ გამო-
გითქვამს პროტესტი, მაშინ
შენ ან ღმერთი ხარ, ან
უკანასკნელი ნაძირალა.

*

ვისაც ნამდვილად უყვარს,
მას ყველა შეყვარებულის
ტკივილი სტკივა, ყველა
შეყვარებულის
ტანჯვით იტანჯება და
ყველა შეყვარებულის
სიხარულით ხარობს.

სარჩევი

წ ი ნ ა თ ქ მ ა 3

პ ო ე ზ ი ა 7

***როცა ვიხილე მშვენიერება ცის ძუალისა 9

***მე მოვკვდი გუშინ! 11

***დავბერდი კაცი, მაგრამ ვერ ვიტყვი 13

***შენზე ფიქრებში და ოცნებებში 15

***ჩემი მეორე ხმა ჩამძახის დიდი ხანია 17

***საყვარელი ხარ და ერთადერთი 19

***ჩემო სიცოცხლევ, შენს ლამაზ ქალაქს 20

***სამყაროს ჩვენსას შენ შემატე 22

***ღმერთო, რამდენჯერ შემიცოდავს 24

***თვალებიც, გულიც სულ შენ დაგეძებს 26

***არის რაღაცა, რაც მაცოცხლებს 27

***ასე ახლოს ხარ, ასე ახლოს 29

***როგორ ვდარდობდი 31

***ვინც გინდა იყავ 32

***ცხოვრება კაცის – ეს თამაშია 33

***ახლა თექვსმეტი აპრილია 34

***რას ვიფიქრებდი, თუ კი ოდესმე 35

***სვლა შეანელა თითქოს, რომ იმ წამს 37

***ინსტინქტებია ალბათ მამრის 38

***ვიცი, სიამაყე დაგძლევს 39

***მოსვლა არავის უკითხავს ჩვენთვის 40

***მეგობარს ყველას – ძველსა თუ ახალს 41

***ვუძღვნი ნინო ქუთათელაძეს 43

***სისულელეა, გჯეროდეს თითქოს 45

***ამ ცხოვრებას აზრსს ძენს მხოლოდ 48

***ვერ დავიჯერებ, რომ ეგ თვალები 50

***ჩემო ცისკარო, ჩემო ძუ ალო 51

***გული მეტკინა; შენი სიტყვები 53

***შენსკენ მოვდივარ, ჩემო ცისკარო 55

***უხერხულობას თუ იწვევს შენში 57

***სულის სხეულთა ერთიანობას 59

***შენ თუ იქნები, ამ სიყვარულზეც 61

ს ი ტ ყ ვ ა თ ქ მ ა ნ ი 63

*ყველა იქცევა ისე... 64

*სასარგებლოა საკუთარ სულში... 65

*ჭეშმარიტი ბედნიერება... 66

*ნებისმიერი გამარჯვება... 67

*არ ვამბობ ტყუილს... 68

*ვამბობ სიმართლეს... 69

*ცოლის აღზრდა... 70

*მათხოვრების მომრავლება... 71

*ღირსებით სიარული... 72

*თუ ამ სოფლიდან... 73

*თუ წუთისოფლიდან... 74

*ვისაც ნამდვილად უყვარს.... 75